

შპს ბიდიო

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შინაარსი:

ფინანსური ანგარიშგება

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	3
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	4
კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5
კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.....	6

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	7
2. მომზადების საფუძვლები	8
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები.....	8
4. ამონაგები	9
5. გაყიდვების თვითღირებულება.....	9
6. კომერციული ხარჯები	9
7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.....	9
8. ფინანსური შემოსავალი / (ხარჯები)	10
9. ინვესტიციები	10
10. ძირითადი საშუალებები	10
11. არამატერიალური აქტივები	11
12. სასაქონლო მატერიალური მარაგები.....	11
13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	11
14. ფული და ფულის ეკვივალენტები	12
15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12
16. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები.....	12
17. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	12
18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	13
19. პირობითი ვალდებულებები	13
20. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	13

შპს ბიდიო

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	Note	2019	2018
ამონაგები	4	18,083,682	15,912,868
გაყიდვების თვითღირებულება	5	(10,171,919)	(8,656,175)
საერთო მოგება		7,911,763	7,256,693
სხვა შემოსავალი / (ხარჯები)		19,935	6,844
კომერციული ხარჯები	6	(909,678)	(731,488)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(3,731,565)	(2,982,075)
საექვო ვალების (ხარჯები) / შემოსავალი		(194,981)	68,301
ფინანსური შემოსავალი / (ხარჯები)	8	213,366	229,418
მოგება დაბეგვრამდე		3,308,840	3,847,693
მოგების გადასახადის ხარჯი		(481,968)	(241,273)
წლის მთლიანი სრული მოგება / (ზარალი)		2,826,872	3,606,420

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2020 წლის 1 მაისს შემდეგი პირების მიერ:

მმართველი პარტნიორი _____ ზურაბ ლალაზაშვილი

ფინანსური მენეჯერი _____ შორენა ბუაძე

7 - 17 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს ბიდიო

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	2019	2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ინვესტიციები	9	45,250	45,250
ძირითადი საშუალებები	10	571,091	525,287
არამატერიალური აქტივები	11	121,502	71,268
სხვა გრძელვადიანი აქტივები		23,400	48,400
სულ გრძელვადიანი აქტივები		761,243	690,205
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მატერიალური მარაგები	12	670,437	683,990
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13	4,556,585	3,854,561
ფული და ფულის ეკვივალენტები	14	3,844,329	4,255,448
სულ მიმდინარე აქტივები		9,071,351	8,793,999
სულ აქტივები		9,832,594	9,484,204
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
მოკლევადიანი ვალდებულებები			
ბანკის სესხები		-	83,156
სავაჭრო ვალდებულებები	15	2,616,928	3,037,837
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	16	2,552,112	2,518,456
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		5,169,040	5,639,449
სულ ვალდებულებები		5,169,040	5,639,449
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		32,000	32,000
რეზერვები		535,362	535,362
გაუნაწილებელი მოგება		4,096,192	3,277,393
სულ საკუთარი კაპიტალი		4,663,554	3,844,755
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		9,832,594	9,484,204

7 - 17 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს ბიდიო

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი მოგება	რეზერვები	სულ
2017 წლის 31 დეკემბერი	32,000	1,990,967	535,365	2,558,332
პერიოდის სრული მოგება/(ზარალი)	-	3,606,420	-	3,606,420
დივიდენდი	-	(2,320,000)	-	(2,320,000)
2018 წლის 31 დეკემბერი	32,000	3,277,387	535,365	3,844,752
პერიოდის სრული მოგება/(ზარალი)	-	2,826,872	-	2,826,872
დივიდენდი	-	(2,008,070)	-	(2,008,070)
2019 წლის 31 დეკემბერი	32,000	4,096,189	535,365	4,663,554

შპს ბიდიო

კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ლარში)

	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე	3,308,837	3,847,693
კორექტირებები:		
ფინანსური (შემოსავალი) / ხარჯი	(115,998)	(129,415)
ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებული (მოგება) / ზარალი	(11,355)	1,164
საექვო ვალების ხარჯი / (შემოსავალი)	194,981	(68,301)
ცვეთა და ამორტიზაცია	301,405	307,376
წმინდა (შემოსავალი) / ზარალი საკურსო სხვაობიდან	(97,368)	(100,002)
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე	3,580,502	3,858,515
სამუშაო კაპიტალის ცვლილება		
მარაგების (ზრდა) / კლება	13,553	(40,626)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების (ზრდა) / კლება	(897,004)	(1,020,942)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა / (კლება)	(75,839)	346,256
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	2,621,212	3,143,203
გადახდილი მოგების გადასახადი	(483,284)	(246,888)
მიღებული პროცენტები	115,998	129,415
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	2,253,926	3,025,730
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(342,597)	(353,087)
ფულადი სახსრები ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	38,544	636
არამატერიალური აქტივების შეძენა	(82,036)	(59,266)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო	(386,089)	(411,717)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
პარტნიორების შენატანი	25,000	26,600
გადახდილი დივიდენდები	(2,318,168)	(1,928,134)
მიღებული / (გადახდილი) სესხები	(83,156)	83,156
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	(2,376,324)	(1,818,378)
წმინდა ფულადი სახსრების ზრდა	(508,487)	795,635
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	4,255,448	3,481,689
საკურსო სხვაობის ეფექტი	97,368	(21,877)
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	3,844,329	4,255,448

შპს ბიდიო

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ბიდიო (შემდგომში „კომპანია“) რეგისტრირებულია (ID: 205145403) საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად (დაარსდა 1999 წელს, ხოლო ხელახალი რეგისტრაცია გაიარა 2016 წელს). კომპანიის სამართლებრივი ფორმაა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის იურიდიული მისამართია ილია ჭავჭავაძის გამზირი 34, თბილისი, საქართველო, ხოლო ფაქტიური მისამართია თარხნიშვილის ქუჩა #2, 0179, თბილისი, საქართველო. კომპანიის და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში ჯგუფი) ძირითადი საქმიანობაა აუდიტი და ბიზნეს საკონსულტაციო მომსახურება.

2018 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის მესაკუთრეები წარმოდგენილია ცხრილში:

მესაკუთრეები	მფლობელობა, %	
	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ზურაბ ლალაზაშვილი	36.00	36.00
ლევან მკლავიშვილი	36.00	36.00
ივანე ჟუჟუნაშვილი	9.00	9.00
მიხეილ ენუქიძე	9.00	9.00
ქეთევან ზარიძე	5.00	5.00
დავით გელაშვილი	2.50	2.50
ვლადიმერ ხრიკაძე	2.50	2.50
	100	100

წინამდებარე ანგარიშგება წარმოადგენს ჯგუფის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, მოიცავს შმობელი საწარმოსა და სრულ საკუთრებაში მყოფი ოთხი შვილობილი საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებებს, რომელიც წარდგენილია როგორც ერთი ეკონომიკური ერთეულის ანგარიშგება.

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს შემდეგ შვილობილ კომპანიებს:

შვილობილი კომპანია	31.12.2019	31.12.2018	საქმიანობის სფერო	რეგისტრაციის თარიღი	შემქნის თარიღი
შპს ბიდიო ლეგალ	100,00%	100,00%	იურიდიული მომსახურება	08.04.2008	28.09.2017
შპს ბიდიო სოლუშენს	100,00%	100,00%	საინფორმაციო ტექნოლოგიური მომსახურება	23.06.2004	29.01.2016
შპს ბიდიო აკადემია	100,00%	100,00%	ტრენინგები	12.07.2007	-
შპს ბიდიო ეიჩარ ენდ ფეიროლ	100,00%	100,00%	ბიზნეს კონსულტაციები და აუთსორსინგი	04.12.2015	-

2. მომზადების საფუძვლები

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის, ასევე, მოითხოვს ჯგუფის ხელმძღვანელობისგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში.

შეფასების საფუძვლები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

რიცხვები ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია ლარამდე დამრგვალებით, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული. მოცემული ფინანსური ანგარიშგების შეფასების ვალუტად ჯგუფი იყენებს იმ ქვეყნის ვალუტას, სადაც ფუნქციონირებს (ფუნქციონალური ვალუტა) - ქართულ ლარს. საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფუნქციონირებადი საწარმო

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ ჯგუფი განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

2019 წლის ბოლოს ჩინეთში გავრცელებული ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) სწრაფად გავრცელების თავიდან ასაცილებლად მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ პანდემია გამოაცხადა. პანდემიის გამოცხადების შემდეგ კომპანიის ხელმძღვანელობამ მიიღო ზომები ახალი კორონა ვირუსის შესაძლო უარყოფითი გავლენის შესამცირებლად. 2020 წლის მარტში, როდესაც ქვეყნის მშტაბით გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა, ხოლო შემდგომ ამოქმედდა საყოველთაო კარანტინი, ჯგუფი მომზადებული შეხვდა ცვლილებებს და განაგრძო ფუნქციონირება ისე, რომ ვირუსის გავრცელებას რაიმე არსებითი ნეგატიური გავლენა არ მოუხდენია.

ჯგუფის ხელმძღვანელობას სურვილი აქვს განავითაროს ჯგუფის საქმიანობა და სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია ჯგუფისთვის.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისთვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს ჯგუფის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ჯგუფი ახდენს შეფასებებისა და დაშვებების გადახედვას საწარმოს უწყვეტობის საფუძველზე. სააღრიცხვო შეფასების გადასინჯვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შეფასება იქნა გადახედილი, თუ აღნიშნული ეხება მხოლოდ ამ პერიოდს; ან გადასინჯვისა და მომავალ პერიოდებში, თუ გადახედვა ეხება ორივე, მიმდინარე და მომავალ პერიოდებს.

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები. აქტივებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში.

სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს ორგანიზაცია აქტივიდან სარგებლის მიღებას. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო

შპს ბიდიო

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივები გაუფასურებაზე ფასდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ფინანსური აქტივები ითვლება გაუფასურებულად, თუ არსებობს ობიექტური რწმუნება იმისა, რომ ერთი ან მეტი ფაქტორის გამო, რომელსაც ადგილი ჰქონდა აქტივის წარმოქმნის შემდეგ და მომავალში მისაღებ ფულად სახსრებზე აქვს უარყოფითი გავლენა. აღნიშნული ჯგუფს ავალდებულებს შეაფასოს მომავალში მისაღები ფულადი სახსრები. მეორეს მხრივ, აღნიშნული შეფასებები არ არის ბოლომდე სანდო, რადგან მოიცავს მომავალ დაშვებებს. მნიშვნელოვანმა და განუქვრეტელმა ცვლილებებმა, იმ დაშვებებსა და შეფასებებში, რომლებიც მონაწილეობენ გაუფასურების დაანგარიშებაში, შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი სხვაობა ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი ინფორმაციისგან.

4. ამონაგები

	2019	2018
აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება	6,024,510	4,680,084
არამარწმუნებელი მომსახურება	12,059,172	11,232,784
	18,083,682	15,912,868

5. გაყიდვების თვითღირებულება

	2019	2018
დანახარჯები პერსონალზე	(8,357,592)	(7,226,859)
ცვეთა და ამორტიზაცია	(152,037)	(135,034)
სხვა ხარჯები	(1,662,290)	(1,294,281)
	(10,171,919)	(8,656,175)

6. კომერციული ხარჯები

	2019	2018
დანახარჯები პერსონალზე	(374,538)	(285,411)
ცვეთა და ამორტიზაცია	(3,700)	(5,171)
სხვა კომერციული ხარჯები	(531,439)	(440,906)
	(909,678)	(731,488)

7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2019	2018
დანახარჯები პერსონალზე	(1,324,415)	(1,166,587)
ცვეთა და ამორტიზაცია	(145,668)	(167,171)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	(2,261,482)	(1,648,317)
	(3,731,565)	(2,982,075)

შპს ბიდიო**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

8. ფინანსური შემოსავალი / (ხარჯები)

	2019	2018
წმინდა საპროცენტო შემოსავალი / (ხარჯი)	115,998	129,415
წმინდა შემოსავალი / (ხარჯი) სავალუტო ოპერაციებიდან	97,368	100,003
	213,366	229,418

9. ინვესტიციები

2016 წელს შპს ბიდიომ შეიძინა ჰოლდინგური კომპანია BDO Eurasia B.V.-ში 5%-ის ოდენობის წილი. ინვესტიცია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად აღირიცხება თვითღირებულებით.

10. ძირითადი საშუალებები

თვითღირებულება	კომპიუტერები და საოფისე ტექნიკა	ავეჯი და მოწყობილობები	მანქანები	სულ
თვითღირებულება 2017 წლის 31 დეკემბერს	710,014	380,889	56,660	1,147,563
შეძენა	279,583	73,508	-	353,091
გასვლა	(98,513)	(799)	-	(99,312)
თვითღირებულება 2018 წლის 31 დეკემბერს	891,084	453,598	56,660	1,401,342
შეძენა	277,614	65,878	-	343,492
გასვლა	(112,275)	(8,506)	-	(120,781)
თვითღირებულება 2019 წლის 31 დეკემბერს	1,056,423	510,970	56,660	1,624,053
დაგროვილი ცვეთა				
დაგროვილი ცვეთა 2017 წლის 31 დეკემბერს	(427,323)	(255,063)	(33,063)	(715,449)
2018 წლის ცვეთა	(173,962)	(77,412)	(6,742)	(258,116)
2018 წ. გასული ძირითადი საშუალებების ცვეთა	96,712	798	-	97,510
დაგროვილი ცვეთა 2018 წლის 31 დეკემბერს	(504,573)	(331,677)	(39,805)	(876,055)
2019 წლის ცვეთა	(200,976)	(62,778)	(6,743)	(270,497)
2019 წ. გასული ძირითადი საშუალებების ცვეთა	85,084	8,506	-	93,590
დაგროვილი ცვეთა 2019 წლის 31 დეკემბერს	(620,465)	(385,949)	(46,548)	(1,052,962)
წმინდა საბალანსო ღირებულება				
2017 წლის 31 დეკემბერს	282,691	125,826	23,597	432,114
2018 წლის 31 დეკემბერს	386,511	121,921	16,855	525,287
2019 წლის 31 დეკემბერს	435,958	125,021	10,112	571,091

შპს ბიდიო

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

11. არამატერიალური აქტივები

თვითღირებულება	პროგრამული უზრუნველყოფა	სულ
თვითღირებულება 2017 წლის 31 დეკემბერს	161,928	161,928
შეძენა	59,457	59,457
თვითღირებულება 2018 წლის 31 დეკემბერს	221,385	221,385
შეძენა	82,036	82,036
თვითღირებულება 2019 წლის 31 დეკემბერს	303,421	303,421
დაგროვილი ცვეთა		
დაგროვილი ცვეთა 2017 წლის 31 დეკემბერს	(100,664)	(100,664)
2018 წლის ცვეთა	(49,453)	(49,453)
დაგროვილი ცვეთა 2018 წლის 31 დეკემბერს	(150,117)	(150,117)
2019 წლის ცვეთა	(31,802)	(31,802)
დაგროვილი ცვეთა 2019 წლის 31 დეკემბერს	(181,919)	(181,919)
წმინდა საბალანსო ღირებულება		
2017 წლის 31 დეკემბერს	61,264	61,264
2018 წლის 31 დეკემბერს	71,268	71,268
2019 წლის 31 დეკემბერს	121,502	121,502

12. სასაქონლო მატერიალური მარაგები

	2019	2018
პროგრამული პროდუქტები	644,284	671,642
სხვა მარაგები	26,153	12,348
	670,437	683,990

13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2019	2018
სავაჭრო მოთხოვნები	4,284,651	3,464,596
საექვო მოთხოვნების ანარიცხები	(169,314)	(111,805)
მოთხოვნები პერსონალის მიმართ	29,645	26,796
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	347,912	160,622
სხვა მოთხოვნები	63,692	314,352
	4,556,585	3,854,561

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლევადიანობის გამო.

შპს ბიდიო

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

14. ფული და ფულის ეკვივალენტები

	2019	2018
ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში	3,371,747	3,846,611
ფულადი სახსრები უცხოურ ვალუტაში	472,581	408,837
	3,844,329	4,255,448

ფული რეზიდენტ ბანკში 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით განთავსებული იყო მხოლოდ სს „საქართველოს ბანკში“ და სს „თიბისი ბანკში“.

15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2019	2018
სავაჭრო კრედიტორული ვალდებულება	486,108	356,470
მიღებული ავანსები	815,364	1,004,486
ვალდებულება თანამშრომლების მიმართ	1,315,455	1,297,880
სხვა ვალდებულებები	-	379,000
	2,616,928	3,037,837

ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლევადიანობის გამო.

16. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	2019	2018
გადასახდელი დივიდენდები	2,008,070	2,318,168
გადასახდელი გადასახადები	544,042	200,287
	2,552,112	2,518,456

17. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ჯგუფს არ გააჩნია დაკავშირებული მხარე, ყველა შიდა ჯგუფური ოპერაცია ან/და მუხლი ელიმინირდება.

ფინანსური ანგარიშგების მუხლი	კავშირის სახე	დაკავშირებული მხარის ბალანსი	სულ
გაყიდვების თვითღირებულება		1,141,493	10,171,919
დანახარჯები პერსონალზე	პარტნიორი/მმართველი გუნდის წევრი	1,141,493	
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები		321,755	3,731,565
დანახარჯები პერსონალზე	პარტნიორი/მმართველი გუნდის წევრი	321,755	

სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		2,008,070	2,552,112
გადასახდელი დივიდენდები	პარტნიორი/მმართველი გუნდის წევრი	2,008,070	

18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ახალი კორონა ვირუსი (COVID-19)

2019 წლის ბოლოს ჩინეთში გავრცელდა ახალი კორონა ვირუსი (COVID-19). 2020 წლის 11 მარტს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ კორონავირუსული დაავადების სწრაფად გავრცელების გამო პანდემია გამოაცხადა. 2020 წლის 21 მარტს საქართველოს მთავრობის მიერ ვირუსის - კოვიდ-19-ის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით ქვეყნის მასშტაბით გამოცხადდა საგანგებო ვითარება. 2020 წლის 31 მარტიდან კი ამოქმედდა საყოველთაო კარანტინი, რამაც მნიშვნელოვნად შეზღუდა საქართველოს ტერიტორიაზე გადაადგილება და დაწესდა მთელი რიგი შეზღუდვები ეკონომიკურ საქმიანობებზე მრავალ სექტორში.

2020 წლის 24 მაისიდან საქართველოს ტერიტორიაზე გაუქმდა საგანგებო მდგომარეობა და საყოველთაო კარანტინი. 2020 წლის 8 ივნისიდან დაშვებულია ყველა ეკონომიკური საქმიანობა სოციალური დისტანციის დაცვითა და სხვა შეზღუდვების გათვალისწინებით, ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციების შესაბამისად.

ხელმძღვანელობის შეფასებით, ვირუსის გავრცელებას რაიმე არსებითი ნეგატიური ეფექტი ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნების თარიღისთვის ჯგუფზე არ მოუხდენია.

19. პირობითი ვალდებულებები

დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა არის სხვადასხვაგვარად ინტერპრეტაციისა და ცვლილების საგანი. ხელმძღვანელობის მხრიდან საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების მიერ ინტერპრეტაციებისაგან და ჯგუფის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ ჯგუფის ოპერაციები 3 წლის მანძილზე.

საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ანარიცხები აღიარდება მაშინ, როდესაც თანხის გაზომვა საიმედოდ არის შესაძლებელი. სავარაუდო ვალდებულებაზე ანარიცხი არ აღიარდება, სანამ არ მოხდება შესაბამისი შეფასება. ჯგუფის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ადგილი არ ექნება რაიმე სახის დამატებითი ვალდებულების დარიცხვას, გარდა იმისა, რაც ჯგუფს თვითონ აქვს აღრიცხული შესაბამის პერიოდებში.

პოტენციურად მაქსიმალური გადასახდელი მოგების გადასახადი, რომელიც შეიძლება ჯგუფს წარმოექმნას გაუნაწილებელი მოგების მთლიანად დივიდენდის სახით განაწილების შემთხვევაში, არ არის აღიარებული ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაში.

20. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ჯგუფის სამუშაო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი („ლარი“). უცხოურ ვალუტაში გახორციელებული ტრანზაქციები თავდაპირველად აღიარდება სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციის გახორციელების თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი

კურსის შესაბამისად. საანგარიშგებო თარიღში უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ხორციელდება ამ თარიღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. გადაფასებით წარმოქმნილი საკუროს სხვაობები აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსი		
	აშშ დოლარი	ევრო	ფუნტი სტერლინგი
კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8677	3.2095	3.7593
კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6766	3.0701	3.3955

ფინანსური ინსტრუმენტები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. მოთხოვნებს არ ერიცხება სარგებელი. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ჯგუფი აფასებს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებებს, რათა განსაზღვროს, ხომ არ არსებობს აქტივის გაუფასურების რაიმე ობიექტური მტკიცებულება. გაუფასურების შემთხვევაში გაუფასურების ზარალი აღიარდება ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (მოიცავს გარიგების ხარჯებს). სავაჭრო ვალდებულებებს არ ერიცხება სარგებელი. პროცენტიანი ვალდებულებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე, ფულს გზაში და მოთხოვნამდე დეპოზიტებს, ასევე 3 თვემდე ვადიან დეპოზიტებს. ფული და ფულის ეკვივალენტები აღიარებულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის ჯგუფიდან გასვლა; ან (ii) ჯგუფი არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

ჯგუფი ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღიარებულია ისტორიული ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საფუძველზე.

ძირითადი საშუალებების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც

აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად, ასევე დემონტაჟისა და მოხსნის ხარჯების მიმდინარე ღირებულებას, რომლებიც მომავალში გაიწევა.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი გაწევის პერიოდში.

ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ჯგუფი იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის.

სასარგებლო მომსახურების ვადა და სალიკვიდაციო ღირებულება მიმოიხილება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

18. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
ტრანსპორტი	5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	4
კომპიუტერული და საოფისე ტექნიკა	4

დაბეგვრა

საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადით იბეგრება წმინდა მოგების განაწილება. საანგარიშგებო პერიოდში მოგების გადასახადის მოქმედი განაკვეთი არის 15 %, ტექნიკურად, გადასახადის დაანგარიშების მიზნებისთვის დასაბეგრ მოგებას მიესადაგება შემდეგი განაკვეთი - 15%/85%. მოგების გადასახადის გადახდა ხდება ფიზიკურ და არა-რეზიდენტ (როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ) პირებზე გაცემულ დივიდენდზე.

საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, მოგების გადასახადით იბეგრება შემდეგი ოპერაციები/გადახდები:

- დივიდენდის გადახდა
- სახელშეკრულებო და საბაზრო ფასს შორის სხვაობა
- ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- გადახდები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- საქონლის უსასყიდლო მიწოდება
- ლიმიტის ზემოთ წარმომადგენლობითი ხარჯები

ჯგუფი აღიარებს მოგების გადასახადის ხარჯს და ვალდებულებას იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდის გაცემა, მიუხედავად იმისა, რომელი პერიოდის დივიდენდის გაცემას ეხება ან როდის მოხდა გამოცხადება.

საქართველოში არსებული საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო და ფინანსურ ბაზებს შორის სხვაობები არ წარმოშობენ გადავადებულ საგადასახადო აქტივსა და ვალდებულებას.

გადასახადები აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

დივიდენდები

დივიდენდები საკუთარ კაპიტალში აღიარდება, როგორც იმ პერიოდის კაპიტალის შემცირება, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები. დივიდენდები, რომლებიც გამოცხადებულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, განიხილება, როგორც შემდეგი მოვლენა და შესაბამისად აისახება განმარტებით შენიშვნაში.

ამონაგები

შემოსავლის განსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავლები წარმოდგენილია ფასდაკლებების გამოკლებით. ჯგუფი ამონაგებს აღიარებს, როცა შემდეგი პირობებია შესრულებული:

- (ა) ამონაგების ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ;
- (ბ) მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში.
- (გ) შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასებასაანგარიშგებო პერიოდის ბოლოს; და
- (დ) შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესასრულებლად საჭირო მომავალი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

საოპერაციო იჯარა

ჯგუფი ქირაობს საოფისე ფართს თავისი საოპერაციო საქმიანობის განსახორციელებლად და აკლასიფიცირებს, როგორც საოპერაციო იჯარას. საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან.

თანამშრომელთა ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო ჯგუფმა დასაქმებულისგან.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ანგარიშგების შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან ჯგუფის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა ჯგუფში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფს აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა ჯგუფში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი

აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს ჯგუფის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს ჯგუფიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

ვალდებულების წარმოშობი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ ჯგუფს არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- კანონმდებლობიდან; ან
- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს ჯგუფის ქმედებიდან, სადაც:

- წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, ჯგუფის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, ჯგუფი მიაჩნებს სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, მესამე მხარეს ჯგუფთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

შპს ბიდიო

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	Note	2019	2018
ამონაგები	4	18,083,682	15,912,868
გაყიდვების თვითღირებულება	5	(10,171,919)	(8,656,175)
საერთო მოგება		7,911,763	7,256,693
სხვა შემოსავალი / (ხარჯები)		19,935	6,844
კომერციული ხარჯები	6	(909,678)	(731,488)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(3,731,565)	(2,982,075)
საექვო ვალების (ხარჯები) / შემოსავალი		(194,981)	68,301
ფინანსური შემოსავალი / (ხარჯები)	8	213,366	229,418
მოგება დაბეგვრამდე		3,308,840	3,847,693
მოგების გადასახადის ხარჯი		(481,968)	(241,273)
წლის მთლიანი სრული მოგება / (ზარალი)		2,826,872	3,606,420

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2020 წლის 1 მაისს შემდეგი პირების მიერ:

მმართველი პარტნიორი

ფინანსური მენეჯერი



ზურაბ ლალაზაშვილი

შორენა ბუაძე

7 - 17 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.